# 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 106 (4616)

1972 წ. 1 ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




დღეს ამ პატარა ბიჭის დღეა, ამ პატარა გოგო-ბიჭების დღე, ცისფერ ტალღებზე უზრუნველად რომ ნებივრობენ. ეს ბედნიერი ცხოვრება მათთვის შექმნეს. მათთვის ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფო, რომ გაიზარდონ, გაკაჟდნენ, სამშობლოს გამოადგნენ, რომ არაფერმა შეგვიწუხოს ჩვენი იმედი, ჩვენი ყველა სიკეთის სათავე და სიხარული — ბავშვი, სამყაროს მარადიული სიჭაბუკე.

ა. კოტორაშვილისა და მ. ზარგარიანის ფოტოები.



## [illegible]-72

● ბუდაპეშტი, 30 მაისი. ადგილობრივ „ნეპშტადიონზე" მოსული მაყურებლები უნგრელი ბადროს მტყორცნელების დიდებული „ზალპის" მოწმენი გახდნენ: 26 წლის ი. მურანიიმ ეს იარაღი 64,08 მეტრზე გაგზავნა (მესამე შედეგი წლეულს მსოფლიოში), გ. ფეიერმა — 61,50, ხოლო ფ. ტეგლამ — 61,20 მეტრზე.

● ბურგკირხენი (გფრ), 30 მაისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში წლეულს მსოფლიოში მესამე შედეგს მიაღწია დასავლეთ გერმანიის ჩემპიონმა კ. ვოლფერმანმა — მან 83,32 მეტრზე ტყორცნა შუბი.

● ალმა-ათა, 30 მაისი. ვერც ერთ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიურ საფეხბურთო ცნობარში ამ გუნდების დასახელებას ვერ ამოიკითხავთ. მიუხედავად ამისა, მათი შეხვედრები უკვე ტრადიციად იქცა. შარშან გაიმართა „ვეჩორკასა" და „ლუნა-პარკის" ფეხბურთელთა პირველი საერთაშორისო მატჩი. მათი წლევანდელი შეხვედრა მეორე იყო. ადგილობრივი საცხოვრებელი კომბინატის სპორტული კომპლექსის საუცხოოდ მომზადებულ სტადიონზე სათამაშოდ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის „ლუნა-პარკის" მუშაკები, რომლებიც კვლავ სტუმრად არიან ყაზახეთის დედაქალაქში. მათს პირისპირ დადგნენ გაზეთ „ვეჩერნიაია ალმა-ათის" რედაქციის თანამშრომლები. მეგობართა ეს საინტერესო შეხვედრა „ვეჩორკის" გამარჯვებით დამთავრდა — 5:4. შეხვედრის შემდეგ მეგობარი-მეტოქეები ალმა-ათის ყველაზე დიდ პარკში წავიდნენ, სადაც ხეთა ჩრდილში უკვე ჰპოვა „თავშესაფარი" „ლუნა-პარკმა": მისი ატრაქციონები ალმაათელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

● მოსკოვი, 30 მაისი. ლუჟნიკის სარბიელზე დინამოელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ს. კოროლიოვამ 58,56 მეტრზე ტყორცნა შუბი (საუკეთესო შედეგი წლეულს სსრ კავშირში). მოსკოველმა ვ. გავრილოვმა და ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა 217 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახეს.

● ბეიკერსფილდი (აშშ), 30 მაისი. ამერიკელმა ზანგმა ათლეტმა უ. კოლეტმა წლეულს მსოფლიოში ყველაზე სწრაფად გაირბინა 400 მ — 44,9 წამი.

## მოსწავლეთა რესპუბლიკური...

### კვლავ სამი ლიდერი

ფეხბურთელთა შეჯიბრების ბოლოსწინა, მეოთხე ტურში თბილისელებმა დაამარცხეს ფოთელები — 2:1, ქუთაისელებმა — აჭარის ნაკრები — 1:0, გორელებმა — აფხაზეთის გუნდი — 2:0. ამრიგად, შეჯიბრების სამივე ლიდერმა ამ ტურში 2-2 ქულა აიღო და 6-6 ქულით სპარტაკიადის ტურნირის სათავეშია.

მხატვრულ ტანვარჯიშში მოასპარეზეთა შორის დაწინაურდა თბილისის ნაკრები, რომელსაც 82,85 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისის (77,95), აჭარის (74,65), აფხაზეთის (72,6) და რუსთავის (67,1) კოლექტივები.

### დიდი მუშაობა დაგვჭირდება

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული უფროსი ასაკის ხელბურთელთა შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს მკითხველი უკვე იცნობს. ახლა გთავაზობთ გუნდების სიას დაკავებული ადგილების მიხედვით: ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. 1. თბილისი (10 ქულა), 2. აფხაზეთი (8). 3. ფოთი (5), 4. ქუთაისი (4), 5. აჭარა (3), 6. სამხრეთ ოსეთი (0); გ ო გ ო ნ ე ბ ი. 1. თბილისი (10), 2. აფხაზეთი (8), 3. ქუთაისი (5), 4. ფოთი (4), 5. რუსთავი (2), 6. აჭარა (1).

როგორც ხედავთ, თბილისის გოგონათა (მწვრთნელი ვ. არაქელოვი) და ჭაბუკთა (მწვრთნელები ო. ჟვანია, გ. მაჭავარიანი) გუნდებს სათანადო მეტოქეობა ვერავინ გაუწია და ორივე კოლექტივმა ქულათა მაქსიმუმი დააგროვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თბილისის გუნდების თამაშის კლასი ბავშვთა ხელბურთისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს. გაუქეჩილს გატეხილი სჯობს და პირდაპირ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის წლევანდელი საუკეთესო გუნდების როგორც ტექნიკურ, ისე ტაქტიკურ მომზადებაში ბევრი ხარვეზია.

გოგონათა გუნდი წინა წლების ნაკრებ კოლექტივებზე ძლიერად თარაშობს, მაგრამ ეს ფაქტორი როდია საკმარისი: საკავშირო სარბიელზე წარმატების მოპოვებისთვის ჯერ კიდევ დიდი მუშაობა დაგვჭირდება.

რაც შეეხება ჭაბუკთა გუნდს, თბილისს წინა წლებში უფრო ძლიერი კოლექტივები ჰყავდა. როგორც მწვრთნელები ამბობენ, სადღეისოდ ხელბურთელებში არც ისე დიდი არჩევანი გვაქვს, თუმცა აფხაზეთის, ფოთისა და ქუთაისის კოლექტივებში არიან იმედის მომცემი ჭაბუკები. მაგალითად, აფხაზეთის გუნდიდან რესპუბლიკის ნაკრებში სავარჯიშოდ მოწვეული არიან ო. დვალი, ნ. მუკბა, ე. კოპალიანი, ნ. თოდუა: ქუთაისიდან — ვ. ნუცუბიძე, გ. გრძელიძე, ა. ხაბურზანია; ფოთიდან — ნ. მაჭარაძე და სხვ. ყურადღებას იპყრობენ თბილისელები ნ. დარბაისელი, ჯ. ბურკიაშვილი, ზ. შელია, გ. ხარაძე, გ. გაფრინდაშვილი.

ზემოდასახელებული სპორტსმენებითა და კიდევ რამდენიმე ხელბურთელით საბოლოოდ დაკომპლექტდება რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც კიევში საკავშირო სპარტაკიადაში უნდა დაიცვას საქართველოს ღირსება.

რესპუბლიკის გოგონათა ნაკრებში თბილისელებთან ნ. არაბოვასთან, ტ. პერევოზჩიკოვასთან, ლ. დოლიძესთან, მ. აკოპიანთან ერთად საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაში ჩაებმებიან სოხუმელი ი. კირტბაია, ბათუმელები ნ. სიხარულიძე, ე. ბერიძე, ფოთელები მ. მელაძე, ტ. კალინინა, რუსთაველები ტ. სამოდუროვა, მ. ხარაიშვილი, ქუთაისელი მ. ბოჭორიშვილი და სხვ. გოგონათა ნაკრებში ყველაზე მწვავე მეკარის პრობლემაა.

უთუოდ უნდა აღინიშნოს აფხაზეთის გოგონათა (მწვრთნელი ი. ჯანგავაძე) და ჭაბუკთა (ა. კოპალიანი) გუნდების წარმატება, რომლებმაც II საპრიზო ადგილები მოიპოვეს. წინათ ხშირად ვწერდით, აფხაზეთში ხელბურთი სუსტად ვითარდებაო. ახლა ამას უკვე ველარ ვიტყვით, ვინაიდან სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საქმეს. ხარვეზი ჯერჯერობით აქაც ბევრია, მაგრამ, რაც მთავარია, ყინული დაიძრა და ხელბურთელთა ოსტატობა შემდგომში ალბათ კიდევ გაიზრდება.

გაზრდილი ოსტატობა გვიჩვენეს მესამე პრიზიორებმაც — ფოთელმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი ქ. გაგულია) და ქუთაისელმა გოგონებმა (გ. გურულიშვილი).

შეჯიბრებას შესანიშნავად გაართვა თავი მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი — თბილისელი გ. ძაგანია, მოადგილე — სოხუმელი მ. კოპალიანი).

მაშ ასე, უფროსი ასაკის ხელბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა. დღის წესრიგშია საშუალო ასაკის ხელბურთელთა შეჯიბრება.

სპარტაკიადის ორგანიზატორები ასევე ორ ასაკობრივ ჯგუფად ატარებენ შეჯიბრებებს კალათბურთსა და ფრენბურთში, რაც უთუოდ მისასალმებელია.

ჯ. ენუქიძე.

### „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

სვერდლოვსკი, 30 მაისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, XV ტირაჟი. იღბლიანი გამოდგა შემდეგი ნომრები: 4 (მთამსვლელობა), 5 (ბადმინტონი), 13 (წყალსთხილამურო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 32 (წყალში ხტომა).

„სპორტლოტოს" შემდეგი ტირაჟი 10 ივნისს გაიმართება ლენინგრადში.

◆ ჟენევა, 31 მაისი. უეფა-ს გენერალური მდივნის მოადგილემ მ. დაფინოფმა განაცხადა, რომ მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის პროტესტი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის შედეგის გამო, მიღებულია. ახლა საჭიროა მატჩის შესახებ მთელი აუცილებელი დოკუმენტაციის შეგროვება. უეფა-ს დისციპლინარული კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილება პროტესტი, ივნისში შედგება (ზუსტი თარიღი ჯერ დაუდგენელია).

◆ პარიზი, 31 მაისი. სსრ კავშირის ჩემპიონები — მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი გავიდნენ საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერთეულთა შორის. „როლან გაროს" საჩოგბურთო სტადიონზე მიმდინარე ეს შეჯიბრება გრუნტიან კორტებზე არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება. ორივე საბჭოთა სპორტსმენი ცენტრალურ კორტზე ასპარეზობდა. მეტრეველმა სძლია საფრანგეთის პირველ ჩოგანს პ. ბარტეს, რომელსაც ტურნირის საკლასიფიკაციო ბადეში VII ადგილი უკავია. ამ საინტერესო ორთაბრძოლის ანგარიშია 8:6, 6:2, 10:12, 6:3 (მესამე პარტიაში ბარტემ ორი მატჩბოლის ამოგება შეძლო). ახლა მეტრეველის მეტოქე იქნება ახალგაზრდა იტალიელი ჩოგბურთელი ა. პანატა, მოროზოვა კი მეოთხედფინალში ფ. დიურს (საფრანგეთი) შეხვდება.

[illegible] ... 19 45

### ბურთი...

ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდმა საკავშირო პირველობის მატჩში დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში" — 3:0. ბურთები გაიტანეს ჭოლაძემ და ჯ. სილაგაძემ (2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

# ქუთაისი—ბერკლი... მიუნხენი



... სპორტის სიყვარულმა „დინამოს" სტადიონზე მიიყვანა. ქალაქში ცნობილი სპეციალისტი ედუარდ ალიშანოვი თარჯმორბენლებს ავარჯიშებდა. მწვრთნელს მოეწონა მაღალი, ტანხმელი, ცამეტიოდე წლის ბიჭი, რომელიც, მოაჯირზე დაყრდნობილი, ხარბი თვალით შესცქეროდა სპორტსმენებს.

— ბიჭიკო, აქ მოდი! აბა სცადე შენც, თუ შეგიძლია ამ ღობეზე გადახტომა. მოდი, ნუ გრცხვენია!

ედუარდმა სიმაღლეს დაუკლო, ცალკე ბილიკზე დადგა და ჭაბუკს შესთავაზა, გადახტიო. „კარგია, ამისგან რაღაც გამოვა", — გაიფიქრა მერე და ბავშვს გვარი ჰკითხა.

— ანატოლი მოშიაშვილი! — მიიღო პასუხად.

— კეთილი. დღეიდან მე და შენ დავმეგობრდეთ. მე გავარჯიშებ, თუ, რა თქმა უნდა, შენც ისურვებ და შინაც დაგეთანხმებიან. ოღონდ ახლავე მითხარი, სკოლაში როგორ სწავლობ?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თავი გადააქნია და დაუმატა:

— არ მემდურიან:

„ხელშეკრულება" დაიდო. ორივე კმაყოფილი იყო. მწვრთნელის გამოცდილ თვალს მოზარდის დაფარული ნიჭი არ გამოჰპარვია.

ანატოლის უხაროდა, რომ სკოლის სპორტული მოედნიდან ასე უეცრად ქალაქის საუკეთესო ბაზაზე სავარჯიშოდ მიიწვიეს, მაგრამ შინ მიმავალს გულიც ეთანაღრებოდა, არ იცოდა, დედა რას ეტყოდა.

დედა დაეთანხმა.

მოშიაშვილმა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ალიშანოვთან ქუთაისში თითქმის ექვს წელიწადს ივარჯიშა და აღმზრდელი ბევრჯერ გაახარა: ჯერ საქალაქო ტურნირში იმარჯვა, შემდეგ — მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მერე საკავშირო სარბიელზეც გავიდა და უკვე 18 წლის ჭაბუკმა სსრ კავშირის მოზარდთა ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებაც მიიპყრო.

ეს მაშინ იყო, როცა ალიშანოვის აღზრდილი იური კოზელსკი მეხიკოს წინაოლიმპიურ ტურნირებში საუკეთესო შედეგებს აღწევდა. და აი, ახლა მოშიაშვილიც ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში ჩარიცხეს. ალიშანოვს შრომა დაუფასდა, მაგრამ გული სწყდებოდა, მეორე მოწაფეც რომ ტოვებდა.

1968 წელს სპორტული სამყარო მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ზრუნვით იყო დაკავებული, მაგრამ არც მომავალი თაობა დავიწყებიათ. მოშიაშვილმა იმ წელიწადს სოფიაში ყველას აჯობა ჭაბუკთა საგაზაფხულო ტურნირში, კიევში ჭაბუკთა პირველ სპორტულ თამაშებში 200 მეტრზე თარჯრბენი მოიგო, 110 მეტრზე თარჯრბენში კი მესამე იყო. მერე ანატოლიმ ლაიპციგში „ოლიმპიური იმედის" ტურნირში გაიმარჯვა და სეზონის დამლევს ევროპის იუნიორთა მეორე თამაშებში თანაგუნდელ ე. მაზეპასა და ფ. ზიბეკის (გდრ) შემდეგ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

... საშუალო სკოლა უკან დარჩა. ანატოლიმ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება და თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს მიაშურა. მისი მწვრთნელი გახდა წარსულში ცნობილი თარჯმორბენალი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ელენე გოკიელი, ქალი, რომელმაც სპორტის ამ სახეობის საიდუმლოც შესანიშნავად იცის და აღსაზრდელთა ფიქრების ამოცნობაც. თუნდაც ის რად ღირს, რომ გოკიელის ერთ-ერთი მოსწავლე ლიუდა იევლევა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი სწორედ თარჯრბენში გახდა, როცა სარბიელს ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ დაუბრუნდა.

გამოცდილი მწვრთნელი მიხვდა, რომ მოშიაშვილს გული მიუწევდა ცნობილ სპორტსმენებთან ბრძოლისკენ. ვარჯიში არ ეზარებოდა, დაღლას არ გრძნობდა. მაგრამ გაზაფხულზე ფეხი იტკინა და აგვისტომდე მოცდა. აგვისტოში იგი სსრ კავშირ — საფრანგეთის იუნიორთა მატჩში გამოვიდა და III ადგილს დასჯერდა.

მისაღები გამოცდებისთვის სამზადისმა დიდი დრო წაიღო, ამიტომ ანატოლიმ 1970 წელს მხოლოდ ერთ დიდ ტურნირში — იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და პირველობაც დაისაკუთრა. სამაგიეროდ, სპორტის ოსტატის ნორმატივი სწორედ იმ წელიწადს შეასრულა.

გოკიელისა და მოშიაშვილისთვის სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის წელი უხვმოსავლიანი გამოდგა. მწვრთნელისა და აღსაზრდელის დაუღალავმა შრომამ ახალი ნაყოფი გამოიღო: მოშიაშვილმა 110 მეტრზე თარჯრბენში „რიგის თასი" მოიგო და პირადი რეკორდი ერთბაშად 0,3 წამით გააუმჯობესა. სპორტსმენს ამ გამარჯვებამ საბოლოოდ განუმტკიცა რწმენა, რომ სსრ კავშირის ნაკრების წევრობისთვის ბრძოლა შეიძლებოდა.

მოშიაშვილი წინაოლიმპიურ წელიწადს მართლაც გახდა სსრ კავშირის თარჯმორბენალთა ლიდერი: ახლა მას უფრო ხშირად უხდებოდა ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში.

ანატოლიმ დაოსტატებაში აშკარად გაუსწრო ლენინგრადელ ბ. პიშჩულინს, პოლტაველ ა. დემუსს, ბაქოელ გ. ლისინს და სხვა თანატოლებს. მთავარი გამოცდა მაინც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა იყო, ტურნირი, რომელსაც მარტო მედლები კი არ უნდა დაენაწილებინა, არამედ მიუნჰენის ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნაკრების კანდიდატებიც შეერჩია.

სპარტაკიადის მრავალსაფეხურიან შეჯიბრებაში მოშიაშვილმა ყველა ეტაპზე სცადა ძალა, ყველა და ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა. მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ფინალში მან მარტო თანატოლებს კი არა, მასზე უწინ სახელმოხვეჭილ ოსტატებს — ტარტუელ კ. იურკატამს, მოსკოველ ო. სტეპანენკოსა და ბრესტელ ვ. ბალიხინსაც აჯობა. მოშიაშვილი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, ამასთან, საკავშირო სპარტაკიადებისა და საქართველოს რეკორდები დაამყარა.

21 წლის ანატოლი თარჯრბენის საუკეთესო ოსტატად აღიარეს და აშშ-ს გუნდთან სსრ კავშირის ნაკრების მორიგი მატჩისთვის ბერკლიში გაგზავნეს. ახალგაზრდა ლიდერი ძნელი ამოცანის წინაშე დადგა: ხუმრობა ხომ არ არის სპრინტისა და თარჯრბენის დიდოსტატებს მათს ქვეყანაში დუელი შესთავაზო.

ბერკლიში მოშიაშვილი მესამე იყო. სამაგიეროდ, ბევრი რამ ისწავლა და ეს ცოდნა სულ მალე გამოიყენა.

ევროპა ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. ყველა ქვეყნიდან სპორტული ბილიკები ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკისკენ მიემართებოდა. მოშიაშვილს ასეთ დიდ თავყრილობაში ძალა არასოდეს ეცადა. არც იმას დაუფიქრებია, რომ მომავალი მეტოქეებიდან მარტო ზიბეკს იცნობდა, ინგლისელ პასკოესთან, იტალიელ ლიანისთან და სხვებთან კი არასოდეს ესპარეზა.

ანატოლის ადგილზე სხვა იქნებ შემკრთალიყო, მან კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სწორედ ძლიერებთან უყვარს შეჯიბრება. მაინც ღელავდა. ეს იყო ერთი სეზონის მანძილზე ნანახითა და განცდილით გამოწვეული ღელვა. რიგის, მოსკოვის, ბერკლის, ჰელსინკის შეჯიბრებებში მონაწილეობა უკვე მის სპორტულ სიმწიფეზე მეტყველებდა.

ჰელსინკში მოშიაშვილმა მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ IV ადგილი ახალგაზრდა სპორტსმენის უდავოდ დიდი წარმატება იყო.

შარშან მოშიაშვილმა კიდევ ორი დიდი გამარჯვება იზეიმა — ძმები ზნამენსკების მემორიალში და სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მძლეოსანთა ასპარეზობაში. რაც მთავარია, თავის ძირითად სახეობაში — 110 მეტრზე თარჯრბენში — ანატოლი სსრ კავშირის რეკორდის (13,7) თანაავტორი გახდა.

ახლა მოშიაშვილი სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის უპირველესი კანდიდატია. მიუნჰენის საგზური მას განაღდებული აქვს. ახლა ყველაფერი სპორტსმენისა და მისი მწვრთნელის მონდომებულ შრომაზეა დამოკიდებული.

წლეულს ანატოლიმ საერთო ფიზიკური მომზადების საუკეთესო სკოლა გაიარა. მოსკოვში, ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში, 110 მეტრზე თარჯრბენში განზრახ არ აიღო სტარტი. მწვრთნელსა და სპორტსმენს მომავალი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ მოშიაშვილმა საუკეთესო სპორტულ ფორმას მიუნჰენის ასპარეზობისთვის მიაღწიოს. თებერვლის შეჯიბრება ჩემპიონის მოსამზადებელ პერიოდს დაემთხვა, ამიტომ აქ იგი 60 მეტრზე თარჯრბენში გამოვიდა და სსრ კავშირის მიღწევაც დაამყარა — 7,6 წამი.

... „მოშიაშვილმა საბჭოთა კავშირში პირველმა შეძლო დისტანცია გაემთლიანებინა, თარჯები ჭეშმარიტად სპრინტერის ნაბიჯებით გადაელახა. ამაშია მისი სწრაფი წამების საიდუმლო", — სამართლიანად აღნიშნავდა სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ლიულკო, როცა წლევანდელი ზამთრის ტურნირების შედეგებს მიმოიხილავდა.

რა იქნება წლეულს? გადავხედოთ სპორტსმენის საუკეთესო მაჩვენებლებს 110 მეტრზე თარჯრბენსა და 100 მეტრზე რბენაში ბოლო სამი წლის მანძილზე:

| | | |
|---|---|---|
| 1969 წ. | 14,5 | 11,0 |
| 1970 წ. | 14,3 | 10,8 |
| 1971 წ. | 13,7 | 10,5 |

წლეულს ამისი ნახევარი რომ გააკეთოს, ანატოლი საკავშირო რეკორდს 13,4 წამამდე დაიყვანს, რაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში მედლის მოპოვების გარანტიას იძლევა.

მოშიაშვილს თავი არც გრენობლის ზამთრის ევროპულ ჩემპიონატში შეურცხვენია, არც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ქვეყნის ათლეტებთან ასპარეზობისას, არც შემდეგ...

სპორტის მოყვარულები ანატოლი მოშიაშვილისგან მიუნჰენიდან სახელოვნად დაბრუნებას ელიან. სპორტსმენმა ნდობა უნდა გაამართლოს.

**ო. გელაშვილი.**

• • •



სურათზე: ა. მოშიაშვილი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ასპარეზობის დროს.

ავტორის ფოტო.

### თელავი

ფშავლისა და ლეჩურის მოჭიდავეთა ამხანაგურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ფალავანთა შერკინებას, რომელიც ფშავლის კლუბის ეზოში მოეწყო, ჭიდაობის ბევრი მოყვარული დაესწრო მეზობელი სოფლებიდანაც. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. შემდეგ ერთმანეთს შეეჯიბრნენ თვით ფშავლის მოჭიდავეები. აქ ზემოუბნელებმა იმძლავრეს.

**შ. ჯაჯვაძე.**

### ახმეტა

დუისის კულტურის სახლში ორ დღეს გაგრძელდა ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში პანკისის საბჭოთა მეურნეობის პირველობაზე. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ტ. ცისკარიშვილმა, დ. გაურგაშვილმა, ნ. ბალაკაშვილმა, ტ. მუთოშვილმა, ა. ცისკარიშვილმა, თ. ხუგაევმა, უ. ბალაკაშვილმა, ფ. და დ. ხანგოშვილებმა.

**შ. ნათელაური.**

# რეზერვი არ ჩანს

მინგეჩაურის რეგატის შემდეგ საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები, რომელთაც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება აქვთ, კალინინსა და მოსკოვს გაემგზავრნენ, სადაც წარმატებით გამოვიდნენ სარბიელზე ამჟამად ჩვენი ოთხადგილიანისა და რვაადგილიანის ეკიპაჟები მოსკოვში არიან. 3-4 ივნისს იქ მოსკოვის დიდი რეგატა გაიმართება, რომელშიც სსრ კავშირისა და უცხოეთის საუკეთესო ეკიპაჟები მიიღებენ მონაწილეობას.

უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩენილი სპორტსმენებისთვის ზონალური ტურნირები გაიმართა. გამარჯვებულებს მოსკოვის დიდი რეგატის საგზურები ეძლეოდათ. საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის გუნდების მასპინძლად ფოთი დაასახელეს. მაგრამ მოლდავეთის წარმომადგენლები საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ, მასპინძლებს კი ხელი მოეცარათ და გამარჯვება ყველა დისტანციაზე აზერბაიჯანის ნიჩბოსნებმა დაისაკუთრეს.

მხოლოდ ორი კლასის ნავების ბრძოლა იყო საინტერესო. ერთადგილიანებით ტურნირში გ. სილიუტკინმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ს. ტაბილოვს (აზერბაიჯანი), მაგრამ მაინც დამარცხდა. რვაადგილიანებით შეჯიბრებაში მასპინძლები წინ იყვნენ დისტანციის სამ მეოთხედზე, ბოლო 500 მეტრზე კი ლიდერობა დათმეს და II ადგილს დასჯერდნენ.

გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენები ყველა კლასის ნავებით ჩაებნენ, პირადში კი უმესაჭო ოთხადგილიანები, მესაჭიანი ორადგილიანები და წყვილმოსასმელიანი ორადგილიანები სტარტზე არ გამოსულან.

„განთიადის", „კოლმეურნის", „ლოკომოტივის" საზოგადოებებში ამ სახეობის განვითარებისთვის სათანადოდ რომ არ ზრუნავენ ეს ფოთის ზონალურმა შეჯიბრებამაც დაადასტურა. უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა ნიჩბოსნებს ზრუნვას არ აკლებს, მაგრამ მარტო ერთი ორგანიზაცია მთელ ტვირთს, რა თქმა უნდა, ვერ აწევს.

აკადემიურ ნიჩბოსნობას საქართველოში მეტი ყურადღება თუ არ მიექცა, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ოთხადგილიანითა და რვაადგილიანით მოპოვებული წარმატებებიც ხელში თოვლივით შემოგვადნება.

დასასრულს უნდა აღინიშნოს „ვოდნიკის" სანიჩბოსნო ბაზის თანამშრომელთა ზრუნვა ტურნირის მაღალ დონეზე გამართვისთვის.

**ლ. ხეცურიანი,**
**შეჯიბრების მსაჯი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ფოთი.

# რეკორდები

**ტალინი, 30 მაისი.** მშვილდოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში ლვოველმა ვიქტორ სიდორუკმა 50 მეტრზე სროლაში თავისივე საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. მისი შედეგი — 320 ქულა — 5 ქულით აღემატება ძველ მიღწევას.

**მოსკოვი, 30 მაისი.** საბჭოთა არმიის მძლეოსანთა შეჯიბრების მსაჯებს ამჯერად არც თუ ისე ჩვეულებრივი მისიის შესრულება მოუხდათ: მათ ქალთა პირველი საკავშირო რეკორდი აღნუსხეს რბენის ახალ დისტანციაზე — 3 კილომეტრზე. სვერდლოვსკელმა ი. ტაბორსკაიამ ცსკა-ს სტადიონის რეზინა-ბიტუმის სარბენ ბილიკზე ეს მანძილი 9 წუთსა და 24,8 წამში დაფარა.

მაგრამ არამარტო რეკორდმა დაამშვენა „სპორტის დედოფლის" არმიელი რაინდების შეჯიბრება. წლევანდელ ოლიმპიურ სეზონში მსოფლიოს სტადიონებზე არც ერთ ქალს არ უტყორცნია ბადრო ისე შორს, როგორც მსოფლიო რეკორდსმენსა და ევროპის ჩემპიონს ფ. მელნიკს (ერევანი): უკვე პირველმა ცდამ მას წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (64,64 მ) მოუტანა, ფინალში კი მელნიკმა ისევ გადააცილა 64-მეტრიან ზღვარს — 64,52.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ლუსისმა (რიგა) 84,32 მეტრზე ტყორცნა შუბი, ხოლო სსრ კავშირის რეკორდსმენმა ი. გამსკიმ (ლვოვი) 70,72 მეტრზე — ურო. „დიდოსტატურ" — 70-მეტრიან ზღვარს პირველად მიაღწია ახალგაზრდა რიგელმა ა. უპელნიექსმა — 70 მ.

სვერდლოვსკელმა ს. მეშჩერსკიხმა ყველას აჯობა 800-მეტრიან მანძილზე — 1.47,7. 100 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველნი იყვნენ მოსკოველები ნ. იუდინა (11,7) და ბ. იზმესტიევი (10,3). სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა კიეველმა ლ. ბორკოვსკიმ — 770 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## სსრ კავშირის პირველობა

### კასრები, ფიქრები

30 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და „ტორპედო“.

ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ევრიუჟიხინმა („დინამო“), მაგრამ ტორპედოელებმა ჯერ კიდევ შესვენებამდე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა (სმირნოვი). მეორე ტაიმის დასაწყისში შალიმოვმა დააწინაურა „ტორპედო“ — 2:1. ამ პერიოდში დინამოელები ბევრს უტევდნენ. ტორპედოელებმა შეძლეს ამ იერიშების მოგერიება, შემდეგ კი ნიკონოვმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში: ჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, მერე კი პენალტი.

ამრიგად, „ტორპედომ“ დიდი ანგარიშით გამარჯვება იზეიმა — 4:1.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ.) | 9 | 6 | 1 | 2 | 13—5 | 13 |
| „ზარია“ | 9 | 6 | 1 | 2 | 14—8 | 13 |
| ცსკა | 9 | 5 | 1 | 3 | 12—9 | 11 |
| „დნეპრი“ | 9 | 3 | 5 | 1 | 11—9 | 11 |
| „დინამო“ (კ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 12—10 | 10 |
| „ზენიტი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 12—8 | 9 |
| „სპარტაკი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 8—8 | 8 |
| „ლოკომოტ.“ | 9 | 2 | 4 | 3 | 6—9 | 8 |
| „ტორპედო“ | 9 | 2 | 4 | 3 | 8—13 | 8 |
| „არარატი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 11—7 | 7 |
| „ნეფთჩი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 7—8 | 7 |
| „ყაირათი“ | 9 | 1 | 5 | 3 | 7—9 | 7 |
| „დინ.“ (მნ.) | 9 | 1 | 5 | 3 | 6—10 | 7 |
| „დინამო“ (მ.) | 7 | 2 | 2 | 3 | 8—10 | 6 |
| „კარპატი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 7—10 | 6 |
| ასკ | 9 | 2 | 1 | 6 | 6—15 | 5 |

## რესპუბლიკურ ფედერაციაში

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების საყურადღებოდ აცხადებს, რომ განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 8 ივნისი.

# პასიურობის, უნებისყოფობის შედეგი

ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 30 მაისი.

„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) 2:0 (1:0).

„არარატი“: ა. აბრამიანი, არუთინიანი, ფ. აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასიანი, ბონდარენკო, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, პოლოსოვი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე (კუტივაძე), ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 „არარატის“ სასარგებლოდ.

ერთი დღით ადრე, ვიდრე თბილისის „დინამო“ ერევანში ითამაშებდა „არარატთან“, კალენდარული შეხვედრები ჰქონდათ ჩვენი გუნდის უმთავრეს კონკურენტებს — „ზარიასაც“ და ცსკა-საც. და აი, 29 მაისს მოხდა ზუსტად ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა: წააგეს ვოროშილოვგრადელებმაც, წააგეს არმიელებმაც.

ეს ამბავი გარკვეულ სტიმულად უნდა ქცეულიყო თბილისელ ფეხბურთელთათვის. ორი აზრი აქ არ შეიძლება არსებობდეს: ასეთ მომენტში, როცა წარმატება ერთპიროვნული ლიდერობის ხელში ჩაგდების საშუალებას გაძლევს, როცა შესაძლებლობა გაქვს შეიქმნა ქულათა მარაგი, უნდა იბრძოლო არა ისე, როგორც „ჩვეულებრივ“, რიგითს ტურებში, არამედ საგანგებოდ, განსაკუთრებით, მთელი ძალითა და ენერგიით, მთელი შესაძლებლობით. მით უმეტეს, რომ მეტოქე ცნობილია პრინციპულობით, შეუპოვრობით, მაღალი ბრძოლისუნარიანობით.

„არარატი“ ჩვენს გუნდს არაერთხელ დაუმარცხებია და დიდი ანგარიშითაც, მაგრამ ჯერ არ ყოფილა, რომ ერევნელებს უბრძოლველად დაეთმოთ თამაში, დაეყაროთ ფარ-ხმალი, დაეკარგოთ მობილიზების უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა. „დინამოს“ ყოველი გამარჯვება, როგორც წესი, წმინდა საფეხბურთო, საერთო კლასის შედეგია ხოლმე.

მაგრამ რამდენჯერ გვინახავს, რომ მატჩი წაუგია „დინამოს“ და წაუგია მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით, წაუგია იმიტომ, რომ ვერ შეძლო გამოეჩინა ის საბრძოლო თვისებები, სპორტული მობილიზება, ძალების სრული კონცენტრაცია, რაც ასეთ დროსაა საჭირო.

ზუსტად ამგვარი ტრადიციული სურათის მოწმენი ვიყავით 30 მაისს. კიდევ ერთხელ ვიხილეთ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები აბსოლუტურად დეპრესიულ მდგომარეობაში, სრული უნებისყოფობისა და დამორჩილების ვითარებაში.

გაიხსენეთ მატჩი, რომელიც ტელევიზიით მთლიანად გადმოიცა. ვინ დაგვისახელებს თუნდაც ერთ ჩვენს მოთამაშეს, გნებავთ ვეტერანს, გნებავთ ახალგაზრდას, რომ რამდენადმე მაინც შესამჩნევი ინიციატივა გამოეჩინოს, პირადი მაგალითი მიეცეს ამხანაგებისთვის, საბრძოლველად მოეწოდებინოს. ასეთი ფეხბურთელი „დინამოში“ არ გვინახავს. ყველა დამორჩილებული იყო მეტოქის ნება-სურვილს.

პირველნი, ვინც ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას, იყვნენ თავდამსხმელები. გუცაევი, მაგალითად, მთელი მატჩის მსვლელობაში არც ცდილა თუნდაც ელემენტარული მონაწილეობა მიეღო თამაშში. მთავარი ის კი არ არის, რომ მესროპიანი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ამ მატჩში და შეძლო მისი ნეიტრალიზება. არა. გუცაევი დემონსტრაციულად უსაქმოდ იდგა თავის ფლანგზე და საბოლოოდ „დინამოს“ წაგების გულგრილი მოწმის როლში წავიდა მინდვრიდან. ბევრით ვერაფრით სჯობდა მას ყიფიანიც, რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე, ეპიზოდურად თუ ჩაერთვებოდა ამა თუ იმ მომენტში.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ჩვენი ნახევარმცველების თამაში. მინდვრის შუაგული — ტაქტიკური ბრძოლის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი უბანი — მათ თავიდანვე მთლიანად დაუთმეს მოწინააღმდეგეს და 90 წუთმა ისე განვლო, აქ ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ.

უსისტემოდ მოქმედებდა დაცვაც. მართალია, ისეთ პირობებში, როცა მეტოქე განუწყვეტლივ თავზე გაზის და სულის მოთქმის საშუალებას არ გაძლევს, ძნელია უშეცდომოდ ითამაშო, მაგრამ სწორედ ძნელ მომენტებშია საჭირო ორგანიზებულობა, ურთიერთგაგება, ყველაზე საშიში მოპირდაპირე თავდამსხმელების უვნებელყოფა.

მატჩის დასაწყისში „არარატის“ შეტევების მოთავე იყო მარქაროვი. იგი თავისი გუნდის კომბინაციათა შუაგულში ტრიალებდა, არეგულირებდა ერევნელთა ყოველ საიერიშო ოპერაციას, ხელის შემშლელი კი არავინ გამოუჩნდა. შემდეგ თბილისელთა დაცვაში სრული არევდარევა შეიტანა იშტოიანმა, დინამოელებმა კი ვერც მას მოუხერხეს ვერაფერი. დაბოლოს, ძალიან აქტიურად, თავისი გუნდისთვის დიდი სარგებლით ათამაშდა პოლოსოვი და პერსონალური მეთვალყურე არც მას გამოუჩნდა.

მართალია, დინამოელებს რამდენიმეჯერ მიეცათ მდგომარეობის გამოსწორების საშუალება — ბურთის გატანა შეეძლოთ გუცაევს, გავაშელს, ამას გარდა, მსაჯმა საჭიროდ არ მიიჩნია აშკარა დარღვევის აღნუსხვა, როცა მეკარესთან პირისპირ გასული ასათიანი მცველებმა წააქციეს, მაგრამ მატჩის მთლიან სურათს არც ეს გამონაკლისები შველის და არც ბოლო 15-20 წუთი, როცა თბილისელებმა შეძლეს გარკვეული კონტრთამაშის შექმნა. „არარატი“ ამ დღეს მთელი თავით მაღლა იდგა „დინამოზე“ და ეს იყო თბილისელ ფეხბურთელთა უკიდურესად პასიური, უნებისყოფო, უნიათო თამაშის კანონზომიერი შედეგი. იმ 2 გოლის გარდა, რომლებიც ანდრიასიანმა და იშტოიანმა გაიტანეს, სტუმრების კარი კიდევ ბევრჯერ იყო რეალური საშიშროების წინაშე.

წაგებისგან დაზღვეული არავინაა. ფეხბურთში ხშირად ხდება, რომ უიმედო აუტსაიდერიც კი ამარცხებს ლიდერს, მაგრამ როცა წაგების უმთავრესი მიზეზია ისე თამაში, როგორც თბილისელებმა ითამაშეს, მიოიური, უსაფუძვლო გასამართლებელი საბუთების ძიება კეთილს არაფერს მოგვიტანს.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1. მსაჯი ა. ჰკუსელი (თბილისი).

ხობელთა მცველმა ლ. მირცხულავამ 22-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა ბურთი.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — ასკ (თბილისი) 0:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

არმიელები შესვენებამდე დაწინაურდნენ ლომიძისა და დარჯანიას ზუსტი დარტყმების შემდეგ. სტუმრებმა ბოლომდე შეძლეს ამ უპირატესობის შენარჩუნება.

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:3. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

მე-20 წუთისთვის „განთიადი“ წინ იყო ანგარიშით 2:0 — ორივე ბურთი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გუჯუბერიძემ. ეტყობა, ბორჯომელებმა საქმე მოთავებულად მიიჩნიეს. ამით კარგად ისარგებლა „ქართლმა“ და სულ ცოტა ხნის მანძილზე ბაქრაძემ და რევაზიშვილმა თანაფარდობა აღადგინეს.. თავიანთ კარში მიღებულ მეორე ბურთს მასპინძლებმა არნახული რეაქციით უპასუხეს: მათ თამაშგარე მდგომარეობა ეგონათ, მოთამაშეთა ნაწილი ხულიგნურად მოიქცა, მიეჭრა მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა მას. განსაკუთრებით აღვირახსნილად იქცეოდნენ მ. გოჩაშვილი, გ. ნოზაძე და ი. პეტროსიანი. მათს საკითხს უახლოეს დროში განიხილავს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და, იმედია, ხულიგნები საკადრის სასჯელსაც მიიღებენ.

87-ე წუთზე გორელმა ნოზაძემ გადამწყვეტი გოლი გაიტანა ბორჯომელთა კარში.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „ისანი“ (თბილისი) 3:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

სამივე ბურთი გაიტანა თოდიძემ.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სამცხე“ (აწყური) 3:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

უდიერი საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულია აწყურელი ნ. ბარძიმაძე, ხოლო მისმა თანაგუნდელმა მ. კიკაძემ მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიიღო.

● „სინათლე“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 0:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ვანელებმა კარგად ჩაატარეს ეს ძნელი მატჩი და გაიმარჯვეს კიდეც. გოლი გაიტანა ოჩხიკიძემ. ამას გარდა, ნუცუბიძეს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ „სინათლის“ მეკარე გუგუშვილმა აიღო მის მიერ დარტყმული პენალტი.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა ტაიმი მოიგეს ანგარიშით 3:0 (დანელია — 2, ოდიშარია). შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა და სარიშვილს მიეცა ერთი საპასუხო ბურთის გატანის საშუალება.

● „კახეთი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:3. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

ქანთარიას მიერ 35-ე წუთზე „ვარკეთილის“ კარში გატანილი გოლი სულ მალე გაქვითა ჯავახიშვილმა. მეორე ტაიმში რკინიგზელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს (გაგუა, ლამბაროვი).

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ე. ჩობჩიური (თბილისი).

სტუმრებმა ვერაფერი გააწყვეს დინამოელთა ხშირი იერიშების წინააღმდეგ და 3 „მშრალი“ ბურთი მიიღეს ალმასია, აბრალავასა და კოროლიოვისგან.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ანგარიში 1:1 იყო. და აი, ბადუაშვილის ზუსტმა დარტყმამ (83-ე წ.) გამარჯვება მოუტანა სტუდენტებს.

● „სინათლე“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„არაგვი“ (დუშეთი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 10:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „მევენახე“ (ბოლნისი) 4:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 4:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 3:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) 0:1.

#### II ზონა

„იმერეთი“ (თერჯოლა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „მზიური“ (გალი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:0, „დიოსკურია“ (სოხუმი) — ჩაის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 4:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „კომეტა“ (ფოთი) 1:3, „მადნეული“ (ჭიათურა) — „განთიადი“ (აბაშა) 4:0, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური) 11:1, „განახლება“ (ადიგენი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 16 | 10 | 4 | 2 | 23—16 | 24 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 16 | 9 | 5 | 2 | 23—9 | 23 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 16 | 9 | 3 | 4 | 31—15 | 21 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 16 | 8 | 5 | 3 | 27—17 | 21 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 16 | 8 | 4 | 4 | 22—19 | 20 |
| „სულორი“ (ვანი) | 16 | 7 | 5 | 4 | 17—9 | 19 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 15—10 | 17 |
| „სამცხე“ (აწყური) | 15 | 6 | 5 | 4 | 25—21 | 17 |
| „კახეთი“ (თელავი) | 15 | 6 | 4 | 5 | 19—17 | 16 |
| ასკ (თბილისი) | 13 | 6 | 3 | 4 | 18—11 | 15 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 15 | 5 | 5 | 5 | 16—14 | 15 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 15 | 6 | 3 | 6 | 13—16 | 15 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 16 | 4 | 6 | 6 | 25—22 | 14 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 16 | 5 | 4 | 7 | 16—21 | 14 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 16 | 6 | 1 | 9 | 26—26 | 13 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 16 | 5 | 3 | 8 | 16—27 | 13 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 15 | 3 | 6 | 6 | 8—15 | 12 |
| „ივერია“ (ხაშური) | 16 | 4 | 4 | 8 | 12—28 | 12 |
| „ისანი“ (თბილისი) | 15 | 4 | 3 | 8 | 14—18 | 11 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 16 | 4 | 3 | 9 | 12—19 | 11 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 16 | 1 | 8 | 7 | 15—22 | 10 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 16 | 2 | 5 | 9 | 7—28 | 9 |

## ორივეჯერ — ფრე

თეირანი, 29 მაისი. ირანისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების აქ გამართული მეორე მატჩი, რომელსაც მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების საგზურის ბედი უნდა გადაეწყვიტა, ფრედ დამთავრდა — 0:0. ვინაიდან ფხენიანში ამ გუნდებმა ასეთივე შედეგით დაამთავრეს პირველი მატჩი, მეტოქეებს მესამე, გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება მოუწევთ ნეიტრალურ მინდორზე.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## პრემია — ყოველი გოლისთვის

ბელგიის ნაკრებს მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები აქვს ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ისლანდიის გუნდებთან. ბელგიელები განსაკუთრებით უფრთხიან ჰოლანდიელებს, თავიანთ ტრადიციულად „უხერხულ“ მეტოქეებს.

ბელგიის ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოთამაშეებს გარკვეული სტიმული მისცეს: მსოფლიო პირველობის საკვალიფიკაციო მატჩებში გატანილი ყოველი ბურთისთვის ფეხბურთელი 50 დოლარით დაჯილდოვდება.

● ●

## „სპორტოვეცის“ კიდევ ერთი ანკეტა

პოლონეთის ჟურნალმა „სპორტოვეცმა“ ევროპელ მიმომხილველთა ჯგუფს ევროპის ნაკრების შედგენა სთხოვა.

მონაწილეთა უმრავლესობამ ასეთ ნაკრებს მისცა ხმა: მეკარე ბენქსი (ინგლისი), მცველები ფოგთსი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), მური (ინგლისი), ფაკეტი (იტალია), ნახევარმცველები მაცოლა (იტალია), ნეცერი (გფრ), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), თავდამსხმელები ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), კრუიფი (ჰოლანდია), ჯაიჩი (იუგოსლავია).

● ●

## მიულერს ვინ შეელევა!

აც დრო გადის, გოლის გატანა ფეხბურთში სულ უფრო „ძვირდება“: შესაბამისად იზრდება ისეთი თავდამსხმელების ფასიც, რომლებსაც გოლები გააქვთ. ერთ-ერთი ასეთი დიდი სპეციალისტია გერმანელი გ. მიულერი, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი.

ვინ არ ეპატიჟებოდა მიულერს როტერდამის „ფეიენოორდით“ დაწყებული და სამხრეთამერიკული კლუბებით დამთავრებული, მაგრამ ვინ შეელევა მიულერს?

როცა ზოგიერთ გაზეთში გამოჩნდა ცნობა მიულერის თანხმობის შესახებ ჰოლანდიაში გადასვლაზე, მისი კლუბის — „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ სათანადო ნაბიჯები გადადგა, რათა სნაიპერის გული მოეგო. მიულერის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, რის შემდეგ მასთან 1975 წლამდე განაახლეს ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის ირგვლივ

# ვიდრე ორთაბრძოლა მიმდინარეობს

ამ დღეებში ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი დიდი სპორტული და შემოქმედებითი განცდებით ცხოვრობენ. მატჩის ყოველ პარტიას, ყოველ სვლას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს, მაგრამ გულშემატკივრები თითქმის არ იცნობენ ბრძოლის მიღმა ამბებს, რაც, ჩვენი აზრით, მათთვის საინტერესო იქნება.

## მიჩვევა თუ...

მოჭადრაკეები ცოტა ცრუმორწმუნენი არიან.

ერთხელ სასტუმროს ფოიეში მატჩზე მიმავალ კუშნირს შევხვდი. მას ვ. იურკოვი და ა. კარელოვი ახლდნენ. მერე ამ სამს ყოველდღე ერთად ვხედავდი და მივხვდი, რომ ეს შემთხვევითი არ იყო.

დავაკვირდი ნონას. იგი პარტიის სათამაშოდ მუდამ თავის ახლობლებთან — მეუღლე ანზორ ჭიჭინაძესთან, ძმასთან მურადთან და თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორ ლილი წეროძესთან ერთად დადის.

— კარგი ფეხი გვაქვს, — სერიოზულად მითხრა ლილიმ.

## მიკენასი კმაყოფილია

მატჩის მთავარი არბიტრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მიკენასი ბევრ დიდ მოჭადრაკეს შეხვედრია. საკმარისია ითქვას, რომ მას მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან საპატიო შედეგი აქვს: ერთი მოგება, ერთი წაგება და ოთხი ყაიმი. მიკენასს დაუმარცხებია მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, ს. ფლორი და სხვ. ცხადია, ლიტველმა ოსტატმა კარგად იცის ჭადრაკი.

როცა ვუთხარი, მეხუთე პარტია მოსაწყენია-მეთქი, ძალიან გაუკვირდა.

— მართალია, ამ პარტიაში ამაღელვებელი ტაქტიკური გართულებები არ იყო, მაგრამ ეტლების ენდშპილი რატომ გავიწყდებათ? — თქვა მან.

— სწორედ ის გახლდათ მოსაწყენი.

— პირიქით, გეთაყვა, მხიარული სანახავი იყო. აბა დააკვირდით, კუშნირმა ყაიმს როგორ მიაღწია.

— ნონას სწორად რომ ეთამაშა?

— ეს უკვე სხვა საქმეა. ეტლების ენდშპილი დიდ ხელოვნებას მოითხოვს. იცით პაულ კერესმა რა მითხრა? ჭადრაკში ეტლების ენდშპილის მეტი არაფერი გესმისო. ამ შეფასებისა, რომელსაც პაულმა ღიმილიც დაურთო, ძალიან კმაყოფილი ვარ, — მიკენასმა ამ სიტყვებზე თვითონაც გაიღიმა.

დავიმახსოვრე ეს საუბარი. როცა ნონამ შესანიშნავ სტილში მოიგო მეექვსე პარტიის ეტლების ენდშპილი, მიკენასთან მივედი:

— პატივცემულო ვლადას, ნონამ ეს ენდშპილი თქვენ მოგიძღვნათ.

მიკენასმა გაიღიმა და კმაყოფილმა მომიგო:

— მადლობელი ვარ, მაგრამ საგონებელში კი ჩავვარდი: ვერ მივხვდი, როგორ შეიძლებოდა ამ ენდშპილის მოგება. მას აშკარა ყაიმის სუნი ასდიოდა.

— მხოლოდ ჩემპიონური თამაშით!

## ვინ როგორ გაიხარა

ყურადღება ყველას სიამოვნებს. ბრძოლის ველზე რომ მოგაკითხავენ, ორმაგად სასიხარულოა.

და აი, რიგაში მატჩზე გვეწვივნენ მოსკოვის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, ოსტატი ი. ვასილჩუკი და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე შ. ახვლედიანი.

— ალამ სტარტზე ზედიზედ ორი პარტია რომ წააგო, თანაც ერთი — შამათით, რიგას გამოვეწიე. გზაში გავიგე, რომ მესამე პარტია მოეგო და აი, მეოთხე პარტიაზე იმედიანად მოვედი, — გვითხრა ვასილჩუკმა.

როგორც იცით, ეს მეოთხე პარტია კუშნირმა წააგო. ვასილჩუკი პრესცენტრში ვნახე. უგუნებოდ იყო.

— ჩანს, ალა ჯერ კიდევ ვერ მოვა მსოფლიო ჩემპიონთან, — თქვა მან.

ამ პარტიას შ. ახვლედიანიც ესწრებოდა. ბუნებით დარბაისელი კაცი მწვავე თამაშმა ისე აიყოლია, რომ ადგილს ვერ პოულობდა: ხან დარბაზში, ხან პრეს-ცენტრში, ხან დიდ ფოიეში რომელიმე ოსტატს მიუჯდებოდა და მასთან ერთად ვარიანტებს არჩევდა.

კვირა-დღე ნონამ და მისმა „ამალამ“ აგარაკ ლიელუპეში გაატარეს. სასიამოვნო იყო ზღვის ჰაერი, ფიჭვნარი და უხვი მზე, მერე სადილი რესტორან „ქარვის ნაპირში“. შ. ახვლედიანი დარწმუნდა, რომ ჭადრაკის დედოფლის ბანაკში მშვიდობაა და კმაყოფილი თბილისს გაემგზავრა.

— იმედია ფინიშზეც დაგვესწრებით, — უთხრა ღიმილით ნონამ საქართველოს სპორტის მესვეურთა ლესპანს.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის მთავარი მსაჯი ვ. მიკენასი პარტიის გადადებისას დროს ამოწმებს.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

△ **ნიცა.** ფარიკაობის ფედერაციის გენერალური ასამბლეის სხდომამ დაამტკიცა ცვლილებები მსოფლიო ჩემპიონატის წესებში. 1973 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატებში ყველა სახეობაში პირველ წრეში 48-48 სპორტსმენი დაიშვება. ისინი ოთხ ჯგუფად დაიყოფიან. ჯგუფებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეებრძოლებიან მედლებისთვის.

△ **ჰელსინკი.** 12 ივლისს აქ გაიმართება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხია ფედერაციიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარიცხვის თაობაზე სსრ კავშირის წინადადების განხილვა.

△ **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიაში ყველაზე იღბლიან კაცად თვლიან ფერმერ ფ. პერეას, რომელმაც წლის მანძილზე საფეხბურთო ტოტალიზატორში 600 ათასი დოლარი მოიგო.

△ **ცოგელი** (გდრ). ევროპის მოზარდ მშვილდოსანთა ჩემპიონატში გაიმარჯვა ინგლისელმა დ. ოუენმა, რომელსაც ამ ქვეყნის იმედად მიიჩნევენ.

△ **პეკინი.** აქ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს მართავენ იუგოსლავიის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც პირველივე შეხვედრები მოიგეს. ვაჟებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები დაამარცხეს ანგარიშით 114:82, ხოლო ქალებმა — 90:85.

△ **ფორმია.** რ. დიონისიმ აქ გამართულ შეჯიბრებაში შოკით ხტომაში იტალიის რეკორდი დაამყარა (541 სმ) და მიუნხენის ოლიმპიადის საგზურიც გაინაღდა.

△ **სანტ-იაგო და-კუბა.** მ. როდრიგესმა 184 სმ სიმაღლე გადალახა. ეს კუბის რეკორდია.

△ **პარიზი.** ევროპის მძლეოსანთა ასოციაციის სხდომამ რ. ბრუხის (შვეცია) მიერ შარშან 15 მაისს ბადროს ტყორცნაში ნაჩვენები შედეგი — 68,32 მ — კონტინენტის რეკორდად არ დაამტკიცა.

△ **ოსლო.** ნორვეგიის მძლეოსანთა ეროვნულ ჩემპიონატში ე. ბენდიენმა სიგრძეზე ხტომაში თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა — 792 სმ.

△ **მადრიდი.** უმძიმესი წონის პროფესიონალი მოკრივეების, ესპანელი ხ. ლეგრასა და შოტლანდიელი ტ. გლენკროსის მატჩი მსოფლიო პირველობისთვის 15 რაუნდს გაგრძელდა. ქულებით გაიმარჯვა ესპანელმა. ლეგრასმა კონტინენტის ჩემპიონობა შეინარჩუნა.

△ **ნიუ-იორკი.** 33 წლის ოლიმპიური ჩემპიონი რ. ბოსტონი აპირებს მიუნხენშიც გამარჯვებისთვის იბრძოლოს. ამას წინათ აქ გამართულ შეჯიბრებაში იგი ერთ-ერთ ცდაზე 807 სმ სიგრძეზე გადახტა. ურიგო არც სხვა ცდები იყო.

# ს ა ა თ ე ბ ი გ ა ა ჩ ე რ ე ს

მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გუშინწინ შედგა ბოლო, XVII ტური.

**XVII ტური:** ზ. მიქაძე (გუდაუთა) — ა. ბალავაძე (რუსთავი) 1:0, ი. მანაშეროვი (ხაშური) — ნ. ჩახოიანი (თბილისი) 1:0, ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) — ე. უბილავა 1:0, ა. ბუსლაევი (ორივე — თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 1:0, მ. არჩვაძე (სამტრედია) — პ. შაქარიანი (თბილისი) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — დ. გედევანიშვილი (თბილისი) 1:0, ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — რ. დადიანი (სოხუმი) 0,5:0,5, გ. ბიბილაშვილი — დ. ჯანოევი 0,5:0,5, ე. მიქაელიანი — თ. გიორგაძე (ყველა — თბილისი) 0,5:0,5.

ბოლო ტურში გიორგაძე უკვე რესპუბლიკის ჩემპიონი იყო. ამიტომ იგი ბრძოლას მაინცდამაინც აღარ ცდილობდა და მალე დაუზავდა მიქაელიანს. ყაიმი სურდა დადიანსაც, ვინაიდან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს ასრულებდა. რაზოვსკიც არ იყო აგრესიულად განწყობილი და ახალგაზრდა მეტოქეს ოსტატობის კანდიდატობა მიულოცა. საპრიზო ადგილების განაწილებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერნაჟიცკი — უბილავასა და ბიბილაშვილ — ჯანოევის პარტიებს. უბილავამ უფიმცევის დაცვაში ვერ გაათანაბრა პოზიცია. შუა თამაში კერნაჟიცკიმ ჩინებულად ჩაატარა და იერიში მიიტანა მეფის ფლანგზე. უბილავამ პაიკი დათმო, მაგრამ ამან მისი მდგომარეობა ვერ შეამსუბუქა. ლაზიერის დაკარგვის ან გარდაუვალი შამათის მუქარის გამო უბილავა დანებდა. ბიბილაშვილ — ჯანოევის პარტიაში დიდი გართულებების შემდეგ შავებმა პაიკი შესწირეს, რათა თავიანთი ფიგურების განლაგება გაეაქტიურებინათ. პარტია გადავიდა ოთხი ეტლის ენდშპილში, სადაც ბიბილაშვილს ზედმეტი პაიკი ჰქონდა და, როცა ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო, მეტოქენი მოულოდნელად დაზავდნენ. ბუსლაევთან ნეურონოვმა ცუდად გაითამაშა დებიუტი და უხარისხოდ დარჩა. მართალია, თბილისელმა ოსტატმა მის რეალიზაციას დიდი დრო მოანდომა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა.

ამრიგად, თითქმის ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასეთია: I. გიორგაძე — 13,5 ქულა, II. ჯანოევი — 11, III. უბილავა — 10,5, IV-V. ბუსლაევი, მიქაელიანი — 10-10, VI-VIII. არჩვაძე, რაზოვსკი, ტუზოვსკი — 9,5-9,5, IX. მიქაძე — 9, X-XII. დადიანი, ბიბილაშვილი, კერნაჟიცკი — 8,5-8,5, XIII. ნეურონოვი — 8, XIV. გედევანიშვილი — 7,5, XV. შაქარიანი — 6,5, XVI. ჩახოიანი — 5,5, XVII. მანაშეროვი — 4,5, XVIII. ბალავაძე — 3.

ა. გლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ა. ცეხანელი.

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლო ტურში თ. კაჭარავამ დაამარცხა მ. გაგლოევა, მ. მამისთვალოვამ — დ. ქობალია, ნ. ხუბულურმა — ს. კალანდარიშვილი. ყაიმით დამთავრდა პარტიები: მ. წერეთელი — ქ. გეგიძე, ე. ბაშინჯაღიძე — თ. ხუგაშვილი, ნ. ჩიქობავა — ნ. ბალაშვილი (ყველა — თბილისი), მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი) — ც. კახაბრიშვილი (თბილისი).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. ხუგაშვილი — 10,5, II. კაჭარავა — 9,5, III. კახაბრიშვილი — 9, IV. ჩიქობავა — 8, V. ხუბულური — 7,5, VI. კალანდარიშვილი — 7, VII. ბაშინჯაღიძე — 6,5, VIII. წერეთელი — 6, IX-XI. გეგიძე, ბალაშვილი, მამისთვალოვა — 5,5-5,5, XII. ჩიბურდანიძე — 4,5, XIII. გაგლოევა — 3,5, XIV. ქობალია — 2,5.

ამრიგად, მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალის საგზურები მიიღეს ხუგაშვილმა, კაჭარავამ, კახაბრიშვილმა და ჩიქობავამ.

**ნიჭსა-ბზა ფარეთ!**

„ლელოს“ საჭადრაკო მიმომხილველის კომენტარები

# იმედიანი დასაწყისი

სოხუმის მე-6 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს გ. მიქაბიშვილს კარგად იცნობენ აფხაზეთში. იგი მზარდი, პერსპექტიული, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა. თამაშის საიდუმლოებას სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლაში (მწვრთნელი მ. ელიშაკოვი) ეუფლება.

15 წლის სოხუმელმა მოჭადრაკემ წლეულს თავი ისახელა ჯერ აფხაზეთის, მერე კი საქართველოს მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში, რომელიც თბილისში გაიმართა. აფხაზეთის მოსწავლეთა პირველობაში გიორგი სოხუმის გუნდს თავკაცობდა. გუნდმაც და გიორგიმაც 1 ადგილები დაიკავეს. თბილისში ჭაბუკი მოჭადრაკე აფხაზეთის გუნდში მეორე დაფაზე თამაშობდა და პირველობა კვლავ არავის დაუთმო. საინტერესოა, რომ დასკვნითს ტურში მან რუსთაველ ო. შერსტნიოვს სძლია, რომელიც ნახევარი ქულით უსწრებდა. გიორგიმ 5,5 ქულა მოაგროვა შვიდ შეხვედრაში.

გთავაზობთ სოხუმელი მოჭადრაკის ერთ-ერთ პარტიას საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობიდან.

**მიქაბიშვილი — ლეკვეიშვილი**

ფილიდორის დაცვა

**1. e4 e5 2. მf3 d6 3. d4 ed 4. მ:d4 კe7 5. კc4 მf6 6. მc3 a6 7. a4 მbd7 8. 0—0 მe5 9. კb3 0—0 10. f4 მg6 11. კe3 ეe8**

მცდარი გეგმაა. შავები f7 უჯრას ასუსტებენ. სჯობდა 11. ... მg4 შემდგომი 12. ... c5-ით.

**12. ლd3 კf8 13. ეae1 მd7? 14. კ:f7+!**

კუს აყვანას შამათი მოჰყვება. პარტიის ბედი გადაწყვეტილია.

**14. ... მ:h8 15. კ:e8 ლ:e8 16. მd5 მc5 17. ლc4 ლf7 18. მf3 h6 19. კ:c5 dc 20. მe5 მ:e5 21. fe ლg8 22. ლe2 ეb8 23. ლf3 კd7 24. მ:c7 ეc8 25. მd5 ეe8 26. ლf7 ლ:f7 27. ე:f7 კc6 28. ეef1 მ:g8 29. მc7 ეc8 30. მe6.** შავები დანებდნენ.

# იერიში იტაცებს

თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, 14 წლის ზ. თანდაშვილი დედაქალაქის ნორჩ მოჭადრაკეთა ჩემპიონია. ზეზვას უმცროსი და — ლელაც ნიჭიერ, კარგი მომავლის მოჭადრაკედ ითვლება. ორივე თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია. და-ძმას გამოცდილი მწვრთნელი გ. კაზარიანი ამეცადინებს.

პირველთანრიგოსანი ზ. თანდაშვილი ენერგიულად თამაშობს. მას უფრო იერიში იტაცებს, კარგად ამჩნევს კომბინაციის შესაძლებლობას და თამამადაც მიჰყვება.

აი, ზეზვას ერთ-ერთი ასეთი პარტია:

თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატი

**თანდაშვილი — კუზჩიანი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კc4 b5 7. კb3 e6 8. 0—0 b4 9. მa4 მ:e4 10. ეe1 d5 11. კf4 კb7 12. ლh5 მf6 13. ე:e6+! კe7 14. ე:f6! კ:f6 15. ეe1+ მ:f8 16. მf5 კc6 17. კd6+ მ:g8 18. კe7 კ:e7 19. ე:e7 ლf8 20. კ:d5! g6 (20. ... კ:d5 21. მh6+ gh 22. ლg4+ შამათით) 21. კ:f7+ ლ:f7 22. მh6+. შავები დანებდნენ.

თანდაშვილი საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრობის ერთ-ერთი პირველი კანდიდატია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ІНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 02598